საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზეიანის გორასამარხი

ზეიანის გორასამარხი, ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახ. ძეგლი სოფ. მანავის სამხრ.-აღმ-ით 5 კმ-ზე, ადგილ ზეიანზე (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი). არქეოლ. გათხრები ჩატარდა 1982 (არქეოლ. კვლევის ცენტრის კახეთის არქეოლ. ექსპედიცია. ხელმძღვ. კ. ფიცხელაური, ვ. ვარაზაშვილი). გაითხარა დაზიანებული გორასამარხი (მიწაყრილის დიამ. 55–60 მ, სიმაღლე ცენტრ. ნაწილში 6 მ). მიწაყრილის ქვეშ, დასაკრძალავი ორმოს ზემოდან რიყის ქვის ზვინული იყო (ქვაყრილის დიამ. 25 მ, სიმაღლე ცენტრ. ნაწილში 2 მ). ქვაყრილს 1,5–2 მ დაშორებით ირგვლივ შემოუყვებოდა შეწყვილებული მორებისაგან ჰორიზონტ. წყობით აღმართული 1 მ სიმაღლის წრე. მორების წრეს 2 მ დაშორებით შემოუყვებოდა 4–5 მ სიგანისა და 2 მ სიმაღლის რიყის ქვის ყორე. სამარხი ორმო (სიგრძე 12 მ, სიგანე 9 მ, სიღრმე 5 მ) დამხრობილი იყო ჩრდ.-დასავლეთიდან სამხრ.-აღმოსავლეთისაკენ. სამარხი გაძარცულია. დამწვარი მიცვალებულის ფერფლი დასვენებული იყო ხის ურემზე. დარბაზის სამხრ. კუთხესთან აღმოჩნდა მოხრილკიდურებიანი გვერდზე მწოლიარე 2 მიცვალებულის ჩონჩხი – ერთი მარჯვ. გვერდზე, მეორე – მარცხენაზე. მათი ხელის მტევნები ერთმანეთს ეხებოდა. სავარაუდოდ ისინი შეწირული ადამიანები იყვნენ. სამარხში გამოვლინდა შავად გამომწვარი თიხის ორნამენტირებული ჭურჭელი (დერგი, ჯამი, ფიალა), ბრინჯაოს 2 მძივი და ისრისპირი, აგრეთვე ნიჟარის საკინძი. მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის სიღნაღის მუზეუმში.

ლიტ.: ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი კ., ვ ა რ ა ზ ა შ ვ ი ლ ი ვ., ზეიანის №1 გორასამარხი, კრ.: კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, ტ. 8. გარეჯი, თბ., 1988.

მ. კინწურაშვილი